ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 8

ქ. თბილისი

15.06.2018

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **მანანა რატიანი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე

2. **გრიგოლ მურღულია** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" სკოლის პარტნიორი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს სხდომის მდივანი

4. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

5. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორი;

6. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი;

7. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის მართვისა და დაგეგმვის

საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

8. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

შალვა კენკაძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტაჟიორი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ა(ა)იპ ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია

   მიტროპოლიტი სტეფანე - სკოლის დირექტორი

   ნათია მიქაძე - დირექტორის მოადგილე

   ბელა ახვლედიანი - სკოლის წარმომადგენელი

2. შპს მზეკაბანი 2007

   ნინელი გვენეტაძე - სკოლის დირექტორი

3. შპს NK

   ედვარდ კაკაბაძე - სკოლის წარმომადგენელი

4. შპს გიმნაზია 21-ე საუკუნე

ელენე კალანდაძე - სკოლის წარმომადგენელი

ნაირა ტუღუში - სკოლის წარმომადგენელი

5. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტი

ო. პესჩანენკო - სკოლის წარმომადგენელი

ი. გუზიტაშვილი - სკოლის წარმომადგენელი

ნ. ჩხარტიშვილი - სკოლის წარმომადგენელი

ა. ბაღდასარიანი - სკოლის წარმომადგენელი

ე. ნინიძე - სკოლის წარმომადგენელი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

მაკა ტუკვაძე

ნოდარ ანგურიძე

ნატო გაბოშვილი

მაია ქევხიშვილი

კახა ჟღენტი

ლელა ფიცხელაური

დავით ჭეიშვილი

სერგო დურგლიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანი.

სხდომა გაიხსნა 17:20 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ა(ა)იპ ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

2. შპს მზეკაბანი 2007 - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

3. შპს NK - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

4. შპს გიმნაზია 21 - ე საუკუნეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

5.შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და ნოდარ ანგურიძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. ექსპერტ მაკა ტუკვაძის განცხადებით, ა(ა)იპ ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია სასწავლო პროცესის გასახორციებლად იყენებდა ქ. ცაგერში დ. აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე ორსართულიან და ერთსართულიან შენობებს.

საჯარო რეესტრის 18/12/2015წლის №882015713294 და 04/09/2015 წლის №882015493095 ამონაწერებით ირკვეოდა, რომ დაზუსტებული ფართები: 897.00კვ.მ მასზე განთავსებული ერთსართულიანი შენობა, ფართით-324.7კვ.მ საკადასტრო კოდით 89.03.21.001 და 1400კვ.მ მასზე განთვსებული ორსართულიანი შენობა, ფართით 667.00კვ.მ საკადასტრო კოდი 89.03.21.042 ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრება იყო. ცაგერის მუნიციპალიტეტმა უზუფრუქტის №7 და №1-1044 ხელშეკრულებებით არსებობის ვადით გადასცა სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებელი ეკლესიის-ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიას. ეპარქიამ თხოვების №1 და № 3 ხელშეკრულებებით უსასყიდლოდ უზუფრუქტის არსებობის ვადით გაანათხოვრა ა(ა)იპ ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიაზე.

საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფართი ფაქრობრივად არსებულ ფართზე ნაკლები იყო. გიმნაზიამ ორსართულიან შენობას გაუკეთა მიშენება. დამზადებული იყო მიშენებული ფართის საკადასტრო და აზომვითი ნახაზები, თუმცა ინფორმაცია საჯარო რეესტრში არ იყო განახლებული.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რატომ არ იყო საკითხი მოგვარებული.

სკოლის დირექტორის თქმით, საპატრიარქოსა და სახელმწიფოს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები რამდენიმე მსგავს საკითხზე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა საკითხების მოგვარების გარეშე ვერ ხერხდებოდა პრობლემის გადაჭრა.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ, აღნიშნა, რომ ბავშვების უსაფრთხოებისთვის სკოლის მხრიდან საკითხის გადაჭრა აუცილებელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.2. ექსპერტ მაკა ტუკვაძის თქმით, დაწესებულებას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული 25 პედაგოგი, რომელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამებოდა საათობრივ ბადეს. საშტატო განრიგით გიმნაზიას ჰყავდა: დირექტორი, ბუღალტერი, დირექტორის მოადგილე, მნე, ბიბლიოთეკარი, საქმეთამმართველი, ექთანი, დამლაგებელი-2 და დარაჯი-2. სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე და მნე პედაგოგები იყვნენ. ბიბლიოთეკარი და საქმეთამმართველი ერთი პიროვნება იყო. ამრიგად სკოლას სულ 32 თანაშრომელი ჰყავდა. სკოლის 25 პედაგოგიდან 23 პედაგოგი ჩართული იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში და მინიჭებული ჰქონდა შესაბამისი სტატუსი. სკოლას ჰყავდა 8 უფროსი და 15 პრაქტიკოსი მასწავლებელი. სქემაში ჩართული არ იყვნენ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი და დამატებითი საგანმანათლებლო საგნის ,,ქრისტიანული ზნეობის საფუძვლები" პედაგოგი. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგს 1974 წელს დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის ალ.წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, სპეციალობით მათემატიკა. პედაგოგთან გაფორმებული იყო დროებითი ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

1.3. ექსპერტ ნოდარ ანგურიძის განცხადებით, დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ „ცაგერის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის“ სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც განხილული იყო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2017 წლის 5 სექტემბრის №7 სხდომაზე და დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ.

სასკოლო სასწავლო გეგმა გამოირჩეოდა შემდეგი თავისებურებებით: -ეროვნული სასწავლო გეგმის 49-ე მუხლით განსაზღვრული სავალდებულო საგანი „ქართული ენა და ლიტერატურა“ გაყოფილი იყო ორ სავალდებულო საგნად „ქართული ენა“ და „ქართული ლიტერატურა“. აღნიშნული საგნების შეფასებაც ხდებოდა ცალ-ცალკე ნიშნით და წლიური ნიშანიც ორი იყო. ასევე ორი ნიშანი შედიოდა მოსწავლის პირად საქმეშიც. გაურკვეველი იყო მოსწავლის მობილობის დროს, მიმღებ სკოლას რომელი საგნის ნიშანი უნდა ჩაეთვალა „ქართული ენისა და ლიტერატურის“ ნიშნად, „ქართული ენის“ თუ „ქართული ლიტერატურის“, მით უმეტეს, როცა სხვადასხვა ნიშანი ჰქონდა მოსწავლეს.

გარდა ამისა ბერძნული ენა ფაკულტატური საგანი იყო, რომელსაც ყველა მოსწავლე არ სწავლობდა, საგანში კი შეფასება ხდებოდა ნიშნებით, 10 ქულიანი სისტემით. აღნიშნული ნიშნები შეტანილი იყო როგორც საკლასო ჟურნალებში, ასევე მოსწავლის პირად საქმეებში.

ექსპერტის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი იყო სკოლის შეფასების სისტემა. შეფასების სისტემის გაცნობა ხდებოდა სასწავლო წლის დასაწყისში. ინტერვიუირებისას მოსწავლეებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ თუ როდის, როგორ ფასდებოდნენ. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ფასდებოდნენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. დაწყებით საფეხურის 1-4 კლასებში განმავითარებელი შეფასებით.

კათედრების მიხედვით შემუშავებული იყო შეფასების ზოგადი სქემები, რომლებშიც აღწერილი იყო აკადემიური მიღწევის დონეები სხვადასხვა აქტივობების მიხედვით: პრეზენტაცია, დისკუსია, საშინაო დავალება, საკლასო მუშაობა და სხვა. ასევე წარმოდგენილი იყო განმავითარებელი შეფასების ზოგადი სქემები, რომლებშიც გამოყოფილი იყო ცოდნის ათვისების, ან უნარის განვითარების 4 დონე: „ფლობს სრულად“, „ფლობს უმეტესად“, „ფლობს ნაწილობრივ“ და „ვერ ფლობს“. გარდა ამისა გამოიყენებოდა სიტყვიერი და წერილობითი კომენტარები, სწავლაში წარმატების მიღწევაში დახმარებისთვის, სირთულეების გზების ჩვენებითა და რჩევებით.

წარმოდგენილი შეფასების სქემების შესაფასებელი კრიტერიუმები შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გიმნაზიას VII-XI კლასებში კლასიდან კლასში გადასაყვანი ბარიერი გაზრდილი ჰქონდა და 7,0-ის ტოლი იყო. ამ მაღალი ბარიერის გამო სკოლაში დაწესებული იყო ე.წ. „ბარიერის დაძლევის გამოცდები", რომელიც ენიშნებოდა ყველა იმ მოსწავლეს, რომლის წლიური ნიშანი ორი სემესტრის მიხედვით, 7,0-ზე ნაკლები იყო. ასეთ მოსწავლეს სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ ეძლეოდა შანსი ჩაებარებინა გამოცდა. თუ მოსწავლე ვერ მიიღებდა 6-ზე მეტ შეფასებას, მას მოუწევდა საშემოდგომოდ ბარიერის დაძლების გამოცდის ჩაბარება. ამ შემთხვევაში გადამლახავ ქულად განსაზღვული იყო 6,0. თუ ვერ დაძლევდა ამჯერადაც მოსწავლე (მშობელი) ირჩევდა ერთ-ერთს ორი ვარიანტიდან, ან დარჩებოდა გიმნაზიაში იგივე კლასში, ან გადავიდოდა სხვა სკოლაში და შესაბამისად მომდევნო კლასშიც.

რადგან მოსწავლეებს ხშირად უწევთ „ბარიერის დაძლევის გამოცდების" ჩაბარება (ხშირად ორზე მეტ საგანში) და გამოცდაზე მიღებული შედეგები ჯამდება სემესტრულ ნიშნებთან და ასე გამოითვლება საბოლოო ნიშანი (იხ. დანართი 1), ეს გამოცდები თავისი შინაარსით ემსგავსება წლიურ გამოცდას, რომელიც ესგ-ს მიხედვით არ უნდა იყოს ორზე მეტი, ამასთან, საგანი, რომელსაც მოსწავლე ჩააბარებს რომელიმე წელს, მან ორი წლის განმავლობაში აღარ უნდა ჩააბაროს გამოცდა იმავე საგანში.

სტანდარტის მიღწევის ერთ-ერთი ფორმა შემაჯამებელი დავალებებია. კათედრების ჟურნალებში განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა და ის თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებთან შეთანხმებით დაწესებულებას განუსაღვრა 60 დღიანი ვადა მატერიალურ რესურსში აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად და საკითხის განხილვა გადაიდო შესაბამისი დროით.

2. შპს მზეკაბანი 2007 - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნატო გაბოშვილმა და მაია ქევხიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1. ექსპერტ ნატო გაბოშვილის განცხადებით, სკოლაში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა სკოლის მხრიდან ფართის ცვლილების გამო.

ექსპერტის თქმით, დაწესებულება ფაქტობრივად, მდებარეობდა ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქ. N 69-ში არსებულ ორსართულიან შენობაში. დაწესებულების იურიდიული მისამართი იყო რუსთაველის ქ. N 82. ორივე სართულზე განთავსებული იყო სკოლა. აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრე იყო სსიპ თვითმმართველი თემი თერჯოლის მუნიციპალიტეტი ID 231946623, რომელთანაც გაფორმებული იყო ქირავნობის ხელშეკრულება 10 წლის ვადით და მოქმედების ვადა იყო 2017 წლის 5 სექტემბრიდან - 2027 წლის სექტემბრამდე. შენობა ახლად გარემონტებული იყო, შენობა დამაგრებული იყო მიწის ნაკვეთზე, რომლის საერთო ფართი იყო 2361 კვ. მ. სკოლის ეზო არ იყო შემოფარგლული. შენობის ფასადის უკანა მხარეს, სადაც მიმდებარე ტერიტორია იყო მოუწესრიგებელი და არ იყო გამიჯნული, ექსპერტთა რეკომენდაციის შემდეგ ვიზიტის პერიოდში მოხდა აღნიშნული ტერიტორიის გადაღობვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მზეკაბანი 2007 - ის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მზეკაბანი 2007 - ის (ს/კ:231948603) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. **შპს NK - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, კახა ჟღენტმა და ლელა ფიცხელაური. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1. ექსპერტ კახა ჟღენტის განცხადებით, სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის დროს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსასწორებლად საბჭოს მიერ მიცემული 60 დღიანი ვადის პერიოდში დაწესებულებამ გამოასწორა ხარვეზები. კერძოდ, მათ მოაწყვეს ლაბორატორია, სადაც შეყვანილი იყო წყალი და დამონტაჟებული იყო ნიჟარა. ასევე, დამონტაჟებული იყო გამწოვი. ექსპერტის თქმით აღნიშნული დასტურდებოდა დოკუმენტაციითა და სურათებით, რომელიც წარმოადგინა დაწესებულებამ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს NK - ას ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს NK - ას (ს/კ:200012743) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს გიმნაზია 21 - ე საუკუნეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, დავით ჭეიშვილმა და სერგო დურგლიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

4.1. ექსპერტ დავით ჭეიშვილის განცხადებით, ცალკე საკითხად იქნა შესწავლილი, სკოლაში ერთერთი მოსწავლის ჩარიცხვა. მოსწავლე სასწავლებლად შპს „გიმნაზია 21-ე საუკუნე" - ში გადმოვიდა რუსეთის ფედერაციიდან, კერძოდ კი კრასნოიარსკის მხარიდან 2017 წლის ივნისის თვეში, მე-5 კლასში. სკოლის მიერ მოხდა მოსწავლის რუსეთის ფედერაციაში მიღებული განათლების თავსებადობის შემოწმება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ საგნობრივ სტანდარტებთან. ამ პროცესში სკოლა ხელმძღვანელობდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 19 თებერვლის №12 ბრძანებით დამტკიცებული „უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის ექვივალენტობის დადგენასთან დაკავშირებით ზოგასაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის რეკომენდაციით". დირექციის განმარტებით მოსწავლეს გაესაუბრნენ შესაბამის საგნობრივ კათედრებზე, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ წარმოადგინეს, რის შემდეგაც განსაზღვრეს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თავსებადი საგნები. გამოიკვეთა, რომ მოსწავლეს ვერ დაუდგინდა

თავსებადობა ქართულ ენაში, როგორც მეორე ენაში, საქართველოს ისტორიაში და ბუნებისმეტყველებაში და გადაწყვიტეს მოსწავლეს ეს საგნები დაეძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. აღნიშნულის შესახებ 2017 წლის 05 ივნისს, კორესპოდენციით ეცნობა საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის განათლების დადასტურების სამსახურს. საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2017 წლის 12 ივნისის №635732 კორესპოდენციით ეცნობა სკოლას, რომ ზემოაღნიშნულ მოსწავლეს უღიარეს უცხოეთში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი სავალდებულო საგნები: რუსული ენა, მათემატიკა, მუსიკა, ინგლისური ენა, ისტ, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და სპორტი. აღნიშნული წერილის მიღების შემდეგ სკოლის დირექტორის 2017 წლის 15 ივნისის №01-07/30 ბრძანებით მოსწავლე ჩაირიცხა არაქართულენოვანი სექტორის მე-5 კლასში. მოსწავლეს შეუდგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ზემოთ მითითებულ სამ საგანში. სკოლის ადმინისტრაციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ინდივიდუალური გეგმები, თუმცა დირექციაში განმარტეს, რომ მოსწავლის ჩარიცხვა სკოლაში დაემთხვა საზაფხულო არდადეგების დაწყებას და მოსწავლე მშობლის დახმარებით მეცადინეობდა სახლში. არდადეგების დასრულების შემდეგ 2017 წლის აგვისტოს თვეში მოსწავლეს მითითებულ სამ საგანში ჩაუტარეს ტესტური გამოცდა დახურული კითხვებით და ამ გმოცდის შედეგების მიხედვით ჩაუთვალეს საგნები დაძლეულად. სკოლამ ვერ წარმოადგინა საგამოცდო ოქმები და მოსწავლის ნამუშევრები. წარმატებულად დაძლეული გამოცდის შემდეგ მოსწავლე 2017 წლის 14 აგვისტოს დირექტორის №01-07/73 ბრძანებით გადაყვანილი იყო მე-5 კლასიდან მე-6 კლასში, ხოლო ამავე წლის 25 აგვისტოს დირექტორის №01-07/77 ბრძანებით მოსწავლე ამოირიცხა სკოლიდან ქ. თბილისის 116-ე საჯარო სკოლაში გადასვლის გამო. კითხვის ნიშნებს ბადებდა მოსწავლისათვის გამოცდების ჩატარების პერიოდი (14 აგვისტომდე პერიოდი), ეს ის დრო იყო, როცა პედაგოგები სკოლაში არ უნდა იყვნენ და უნდა იმყოფებოდნენ შვებულებაში. სკოლის მიერ მასწავლებლების სკოლაში გამოძახების დამადასტურებელი დოკმენტებიც ვერ იქნა წარმოდგენილი.

ზოგადად სკოლაში უცხოეთში მიღებული ცოდნის აღიარება ხდება ზემოთ აღწერილი სქემის მიხედვით, წელიწადის სხვადასხვა დროს.

აღსანიშნავი იყო ის ფაქტი, რომ 2018 წლიდან სკოლამ წარმოადგინა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისთვის შექმნილი საგამოცდო კომისიის და განრიგის დამტკიცების შესახებ ბრძანება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

4.2. ექსპერტ დავით ჭეიშვილის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში სკოლაში გამოიკვეთა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით გარკვეული ხარვეზები. სკოლაში სიით ირიცხებოდა 387 მოსწავლე. მოსწავლეთა ამ რაოდენობისთვის არსებული ინდივიდულური მერხები შეესაბამებოდა სტანდარტს, მაგრამ არ შეესაბამებოდა დაწესებულების ავტორიზაციის დროს განსაზღვრულ მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას - 430 მოსწავლე. აღსანიშნავი იყო ის ფაქტი, რომ სკოლაში არსებული საბუღალტრო დოკმენტაციით დასტურდებოდა, რომ იყო 430 ინდივიდუალური მერხი და სკამი.
დაწესებულების ხელმძღვანელობის განცხადებით ზოგიერთი მერხი და სკამი მოხმარების დროს დაზიანდა და წაღებული ჰქონდათ შესაკეთებლად, რის დამადასტურებელი დოკმენტებიც სკოლამ წარმოადგინა საბჭოს სხდომაზე.

ექსპერტის თქმით, დაწესებულებას არ გააჩნდა სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი, ან სპორტული მოედანი. შპს „გიმნაზია 21-ე საუკუნის" დირექტორის განმარტებით ისინი სპორტული აქტიობებისათვის იყენებდნენ სკოლის შენობის უკან არსებულ ეზოს, სადაც მოწყობილი ჰქონდათ არასტანდარტული ზომის კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნები, რომელიც მეზობლად კორპუსის მშენებლობის დროს დაუზიანეს.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით მშენებლობა დასრულებული იყო და ერთი თვის ვადაში ეზოში დაამონტაჟებდნენ ფეხბურთის კარებს და კალათბურთის ფარებს.

დაწესებულებაში გამოყოფილი იყო დაახლოებით 20 - 23 კვ.მ. ფართის ოთახი ბიბლიოთეკისათვის, რომელიც წიგნსაცავი უფრო იყო, სადაც განთავსებული იყო შპს „გიმნაზია 21-ე საუკუნის" მფლობელობაში არსებული წიგნადი ფონდი, რომელიც შეადგენდა 2877 ერთეულს. წიგნადი ფონდი განთავსებული იყო შესაბამის თაროებზე. ბიბლიოთეკას არ ჰქონდა სამკითხველო დარბაზი. არ იყო საინვენტარო წიგნი. წიგნადი ფონდი ამობეჭდილი იყო ფურცლებზე. წიგნებს მინიჭებული ჰქონდა ნომრები. ბიბლიოთეკაში იდგა ერთი კომპიუტერი, რომელიც უზრუნველყოფილი იყო ინტერნეტით, მაგრამ ამ კომპიუტერით სარგებლობდა საქმისმწარმოებელიც, რომელიც იქვე ბიბლიოთეკაში იჯდა და მისი სამუშაო ოთახიცა იყო ბიბლიოთეკის ოთახი. აღნიშნულის გამო, კომპიუტერთან და არა მარტო კომპიუტერთან, წვდომა შეზღუდული იყო სკოლის საზოგადოებისთვის. სკოლას ჰქონდა სკოლის სასწავლო გეგმით

განსაზღვრული სასკოლო სახემძღვანელოები ყველა კლასისთვის, რომელთა რაოდენობაც არ იყო გათვალისწინებული ზემოთ მითითებულ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის რიცხვით მაჩვნებელში. სკოლამ წარმოადგინა სურათები მტკიცებულების სახით, რომ მათ მოახდინეს ბიბლიოთეკის რეკონსტრუქცია და ამ დროისთვის ყველაფერი წესრიგში იყო.

სკოლაში ვიზიტის დროს ვებგვერდი არ იყო განახლებული 2017 წლის სექტემბრის შემდეგ და ვერ ასრულებდა საკომუნიკაციო ფუნქციას, თუმცა ამ დროისთვის ხარვეზი აღმოფხვრილი იყო.

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული იყო სკოლის საგანგებო სიტუაციების დროს რეაგირების შტაბი და გეგმა, ბრძანებითვე იყო განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, განსაზღვრული იყო საგანგებო შტაბის წევრთა ფუნქციონალური მოვალეობები. აღნიშნულ დოკმენტებში იყო ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების ელემენტები გაბნეული სხვადასხვა ადგილას, არასრულად. ცალკე დოკმენტის სახით იყო შემუშავებული „წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხნძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები", მაგრამ ამ დოკმენტში ჩამოთვლილი იყო რა იკრძალებოდა, რა ინფორმაციას უნდა ფლობდნენ, რა იყო გაკეთებული და ა. შ. მაგრამ არ იყო გაწერილი მექანიზმები, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება. გარდა ამისა, ეს დოკმენტი არ იყო დამტკიცებული შესაბამისი ბრძანებით, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა დირექტორის ხელმოწერა და ბეჭედი. თუმცა სკოლამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ ხარვეზის გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოადგინა ცენტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გიმნაზია 21 - საუკუნის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს გიმნაზია 21 - ე საუკუნის (ს/კ:245433865) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

5.შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, სერგო დურგლიშვილმა და ცირა ნიკოლაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

5.1. ექსპერტ სერგო დურგლიშვილის განცხადებით, შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტმა" წარმოადგინა 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებული იყო შესაბამისი წესით.

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილები იყო: სკოლის მისია, საფეხურის მიზნები, საგანმანთლებლო პროცესის ორგანიზება, დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების დებულება, მიზნები და ამოცანები, საათობრივი ბადე, სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, კათედრის დებულება და სამუშაო გეგმა, შეფასების სისტემა და შეფასების რუბრიკები, ინკლუზიურ განათლების დებულება, სადამრიგებლო პროგრამა.

მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმაში დააზუსტა დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახე და წარმოადგინა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი სავალდებულო მომსახურებით გათვალისწინებული

საგნების სასწავლო გეგმები, სადაც გაწერილი იყო სწავლების მიზნები, პროგრამა/საკითხთა ჩამონათვალი და შეფასების სახეები.

სკოლას არჩეული ჰქონდა სპორტის სამი სახეობა: ტანვარჯიში, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი.

სკოლაში ფუნქციონირებდა წრეები: ქართული ცეკვა, სამეჯლისო ცეკვა, ვოკალური წრე, ხატვა, 3D ხატვა, გამოყენებითი ხელოვნება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

5.2. ექსპერტ სერგო დურგლიშვილის თქმით, შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტი ფუნქციონირებდა ქ. თბილისში, ნავთლუღის ქ. 8 - ში მდებარე საკუთარ ორსართულიან შენობაში.

სკოლის სარგებლობაში იყო ვებ-გვერდი (www.schoolintellect.com), რომელიც ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლის ვებგვერდი დარეგისტრირებული იყო ჩეხეთში, ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გაფორმებული იყო კერძო პირთან.

სკოლაში დამონტაჟებული იყო უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. სკოლას ჰქონდა 22 უსაფთხოების ვიდეო კამერა. 16 ცალი შიდა და 6 გარე პერიმეტრის სამეთვალყურე კამერა, რომლითაც კონტროლდებოდა შენობის ორივე სართული და გარე პერიმეტრის ნაწილი.

შენობას ჰქონდა 7 შესასვლელი კარი, რომელთაგანაც მხოლოდ ორი ძირითადი კარი იყო აღჭურვილი 24-საათიანი მუშაობის რეჟიმის 6 ცალი სამეთვალყურეო კამერით, თუმცა სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან გადადიოდა ახალ მისამართზე და სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

5.3. ექსპერტ სერგო დურგლიშვილის განცხადებით, სკოლა „ინტელექტში" იყო სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში დასაქმებული იყო 44 პედაგოგი.

სკოლის ძირითადი და დამხმარე პერსონალი იყო: დირექტორი, დირექტორის ორი მოადგილე, ბუღალტერი, სასწავლო ნაწილის ორი გამგე, სასწავლო ნაწილის მენეჯერი, კოორდინატორი, სკოლის ოფის-მენეჯერი, ორგანიზატორი, დირექტორის ორი თანაშემწე, იურისტი, ორი

საქმისმწარმოებელი, სწავლის ხარისხის კონსულტანტი, სამეურნეო ნაწილის უფროსის თანაშემწე, IT-მენეჯერი, ისტ-ის კაბინეტის გამგე, სკოლის საიტის ფოტოგრაფი, ფსიქოლოგი, ექიმი, ლაბორანტი, ბიბლიოთეკის გამგე, ბიბლიოთეკარი, კლუბის გამგე, მუშა, გაზოპერატორი, დამლაგებელი, დარაჯი, კონტროლიორი, მეეზოვე, ვიდეოკონტროლის ოპერატორი, მძღოლი. სკოლას ჰყავს გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელ-მასწავლებლები და დამატებითი აღზრდის პედაგოგები. საერთო ჯამში სკოლაში დასაქმებული იყო 83 ადამიანი.

ვიზიტის პერიოდში 2 პედაგოგი არ იყო ჩართული მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. ერთი პედაგოგი ჩაერთო სქემაში, ხოლო მეორე პედაგოგს დაუმთავრდა ხელშეკრულების ვადა და სკოლამ გამოაცხადა ვაკანსია.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტის (ს/კ:204521375) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 19:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

მანანა რატიანი

მდივანი

თამილა ჩუბინიძე